შპს „მშენ-ექსპერტი“ - LTD „BUILD-EXPERT“

A – ტიპის ინსპექტირების ორგანო

მის.: ქ. თბილისი, მიროტაძის ქუჩა №1, ბინა №4

ტელ.: (+995) 595-95-25-22

ს/კ 200266559

სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013
GAC –IB-0121

აკრედიტაციის მოწმობის №:GAC-IB-0121
ინსპექტირების ანგარიშის №: FT-536/11/18-I536
გაცემის თარიღი: “ 03 ” 12 2018 წელი
ინსპექტირების თარიღი: 26.11÷03.12.2018 წელი

ინსპექტირების ობიექტის იდენტიფიკაცია:

ქ. თბილისში, გურამიშვილის ქ. №28-ში (საკ. კოდი 01.12.08.016.006) 11 სართულიანი შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური ნაწილი

გამტკიცებ,
დირექტორი, პროფესორი _____
მ. წიქარიშვილი

ინსპექტირების ანგარიში
(ექსპერტიზის დასკვნა)

დამკვეთის იდენტიფიკაცია:	შპს „ჯითი ინვესტი“; ს/კ 405123691 დირექტორი: ია ბარქაია
ანგარიშის შედგენის საფუძველი:	განაცხადი №536/11/18-I536 (26.11.2018 წ) ხელშეკრულება №C-536/11/18-I536 (26.11.2018 წ)
ინსპექტირების სფერო:	საინჟინრო-გეოლოგიური ნაწილის ინსპექტირება
ინსპექტირების ამოცანა:	ქ. თბილისში, გურამიშვილის ქ. №28-ში (საკ. კოდი 01.12.08.016.006) 11 სართულიანი შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური ნაწილის ინსპექტირება.

თბილისი
2018 წელი

შემადგენლობა

1. ინსპექტირების შემსრულებლები 3
2. ინსპექტირებისათვის წარმოდგენილი მასალები 3
3. გამოყენებული ნორმატიული დოკუმენტები 3
4. კვლევითი ნაწილი 4
5. დასკვნა 8



ინსპექტირების შემსრულებლები

ინსპექტირების შემსრულებლები ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელის მიერ გაფრთხილებული და პასუხისმგებელნი ვართ ინსპექტირება ვაწარმოოთ მიუკერძოებლობლად, ჯეროვნად ჩავატაროთ კვლევა და დავიცვათ ინსპექტირების ჩატარების დროს მიღებული ან წარმოქმნილი ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

ინსპექტორი: ***ილია ცხომელიძე***

წარმოდგენილი მასალები

1. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიში.

გამოყენებული ნორმატიული ლიტერატურა

1. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში №71):
   - ტექნიკური რეგლამენტი - „შენობების და ნაგებობების ფუძეები" (დანართი №2);
   - ტექნიკური რეგლამენტი - „სამშენებლო კლიმატოლოგია" (დანართი №5);
2. СНиП 1.02.07-87 „საინჟინრო-საძიებო სამუშაოების მშენებლობისათვის";
3. პნ 01.01.-09 სეისმომედეგი მშენებლობა;
4. სნ და წ. IV-5-82 მიწის სამუშაოები;
5. სნ და წ. 2.02.02-85 ჰიდროტექნიკური ნაგებობების ფუძეები;
6. სნ და წ. 2.02.03-85 ხიმინჯოვანი საძირკვლები;
7. B-E – TP-G05/17 ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.

კვლევითი ნაწილი

ინსპექტირებაზე წარმოდგენილია ქ. თბილისში, გურამიშვილის ქ. №28-ში (საკ. კოდი 01.12.08.016.006) 11 სართულიანი შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები. აღნიშნულ ობიექტზე კვლევები ჩატარდა შპს „საინჟგეო“-ს მიერ 2018 წლის ნოემბერში შპს „ჯითი ინვესტი“-სთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე და კონსტრუქტორ ზ. სილაგაძის მიერ გაცემული ტექნიკური დავალების შესაბამისად.

ექსპერტიზის მიზანია წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების წარმოებისათვის საქართველოში ამჟამად მოქმედი სტანდარტებისა და ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებთან.

ექსპერტიზისთვის წარმოდგენილი ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ამსახველი დაკუმენტაცია აკინძულია ერთ ალბომად და შედგება: თავფურცელი – 1 გვ, სატიტულო გვერდი დირექტორის გვარით – 1 გვ, სარჩევი – 1 გვ, ტექნიკური დავალება – 1 გვ, ზოგადი ნაწილი, რომელიც 5 ქვეთავად არის დაყოფილი – 9.5 გვ, სპეციალური ნაწილი, რომელშიც 2 ქვეთავია გამოყოფილი – 5,5 გვ, დასკვნები და რეკომენდაციები – 4 გვ. ტექსტური დანართები წარმოდგენილია გრუნტების ფიზიკური თვისებების ლაბორატორიული კვლევის შედეგები – 1 გვ, მსხვილნატეხოვანი გრუნტი – 1 გვ, კომპრესიაზე გამოცდის გრაფიკები – 6 გვ, ძვრაზე გამოცდის გრაფიკები – 6 გვ, გრუნტში მარილების შემცველობის კვლევის შედეგები – 2 გვ, ქანის აგრესიულობის ხარისხი –2 გვ.

გრაფიკული დანართები წარმოდგენილია ტოპოგეგმა ჭაბურღილების და ჭრილის ხაზების განლაგებით – 1 გვ, ჭაბურღილების სვეტები – 3 გვ, საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები – 3 გვ და პირობითი აღნიშვნები – 1 გვ. სულ 55 გვ.

ზოგადი ნაწილის პირველ ქვეთავად გამოყოფილია შესავალი და კვლევის პროგრამა, სადაც აღნიშნულია, რომ სამუშაო შესრულებულია შ.პ.ს. "ჯითი ინვესტი"-სთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. დასახულია კვლევის მიზანი და მის შესასრულებლად განხორციელებული სამუშაოების მოცულობები. დამკვეთის მიერ მონიშნულ ადგილებში გაყვანილია სამი ჭაბურღილი საერთო სიღრმით 40.0 გრძ/მ. აღებულია გრუნტის 11 ნიმუში. მითითებულია, რომ ლაბორატორიული კვლევები შესრულდა შ.პ.ს. "საინჟგეო"-ს გრუნტებისა და წყლის კვლევების ლაბორატორიაში, ნ. ხმელიძის და მარდაშოვას მიერ, მოყვანილია იმ ნორმატიული დოკუმენტების ჩამონათვალი, რომლის მოთხოვნათა შესაბამისად არის შესრულებული აღნიშნული სამუშაო. საველე და კამერალური სამუშაოები შესრულდა საინჟინრო-გეოლოგიური სამსახურის უფროსი თ. ჩაჩავას მიერ.

ზოგადი ნაწილის მეორე და მესამე ქვეთავში განხილულია ტერიტორიის ადგილმდებარეობა, საზღვრები, მისასვლელი გზები, ტერიტორიის კლიმატური მახასიათებლები პნ 01.05-08 მიხედვით. ზოგადი ნაწილის მეოთხე ქვეთავში აღწერილია ტერიტორიის გეომორფოლოგიური პირობები და საინჟინრო-გეოლოგიური პროცესები. აღნიშნულია, რომ ტერიტორია წარმოადგენს მდ. მტკვრის ჭალისზედა II ტერასის ნაწილს. სამშენებლო მოედნის რელიეფი ტექნოგენური ხასიათისაა. სამშენებლო მოედანს სამხრეთ-დასავლეთიდან ემიჯნება ხევის სათავის საფეხურები, თუმცა, ამჟამად მათი სიღრმული ან ფართობული ეროზიული მოვლენები არ შეინიშნება. არც სამშენებლო მოედანზე და არც მომიჯნავე ტერიტორიებზე თანამედროვე საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარება არ დაიკვირვება.

ზოგადი ნაწილის მეხუთე ქვეთავში მოყვანილია ტერიტორიის ტექტონიკური მდებარეობა და გეოლოგიური აგებულება. აღნიშნულია, რომ ტერიტორია განთავსებულია აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის სამხრეთ ქვეზონის აღმოსავლეთ ნაწილში. გეოლოგიური აგებულება ხასიათდება პალეოგენური ფლიშური დანალექი და ვულკანოგენური ქანების განვითარებით, რომლებიც ზემოდან გადაფარულია მეოთხეული ასაკის ალუვიური მსხვილნატეხოვანი და პროლუვიურ-დელუვიური თიხოვანი გრუნტებით. სამშენებლო მოედნზე გაყვანილი ჭაბურღილების მიხედვით განხილულია გეოლოგიური ჭრილი. აღნიშნულია, რომ ზედაპირიდან 12,5-13,0 მ-ის სიღმემდე თიხოვანი გრუნტებია გავრცელებული, 12,5-13,0 მ-ის სიღრმიდან კენჭოვანი გრუნტები, რომელთა სიმძლავრე 3,0-4,0 მ-ია, ხოლო 15,5-17,0 მ-იდან ძირითადი ქანები – ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა.

ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური პირობებში მოცემულია ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური დარაიონება, მითითებულია გრუნტის წყლების კვების და განტვირთვის არეები. გრუნტის წყალი ჭაბურღილებში გამოკვლეული სიღრმის ფარგლებში არ გამოვლენილა, იგი ზედაპირიდან ღრმად 15,0-17,0 მ-იდან, ძირითადი ქანების კონტაქტზეა გავრცელებული.

სპეციალურ ნაწილში ორი ქვეთავია გამოყოფილი – პირველ, სინჟინრო-გეოლოგიურ პირობებში მითითებულია, რომ ტერიტორია სნ და წ. 1.02.07-87 დანართი 10-ის თანახმად განეკუთვნება II (საშუალო) სირთულის კატეგორიას, რაც შესაბამისობაშია ნორმატიულ დოკუმენტთან. რადგან მოედანზე გამოყოფილია გრუნტის 4 ფენა. მეორე ქვეთავში მოყვანილია გრუნტების დახასიათება და ფიზიკურ-მექანიკური თვისებები ფენების მიხედვით. **ფენა №1** – ნაყარი გრუნტი ძველი საძირკვლის ნარჩენები, ასფალტი, ხრეში თიხნარის შემავსებლით, სიმძლავრე 0,5-1,6 მ. ფენა არ დასინჯულა. **ფენა №2** – თიხნარი მოყვითალო-მოთეთრო ფერის, მყარი კონსისტენციის, კენჭნარის შუაშრეებით, კარბონატული მარილების

ჩანართებით, ფენის სიმძლავრე 6,4-8,0 მ. ფენა დასინჯულია 6 ნიმუშით, რომლებზეც შესრულდა ძვრაზე და კომპრესიაზე გამოცდები. ცხრილის სახით მოყვანილია გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების ნორმატიული მნიშვნელობები. მითითებულია, რომ გრუნტს არ ახასიათებს ჯირჯვადი თვისებები, თუმცა კომპრესიული გამოცდის შედეგების მიხედვით აღნიშნულია, რომ გრუნტს ახასიათებს ჩაჯდომადი თვისებები. **ფენა №3** – თიხნარი მუქი-ნაცრისფერი, კარბონატული მარილების ლაქებით და ბუდობებით, ნახევრადმყარი კონსისტენციის. ფენის სიმძლავრე 4,5-5,0 მ. ცხრილის სახით მოყვანილია გრუნტის ფიზიკური მახასიათებლების ნორმატიული მნიშვნელობები. ხოლო მექანიკური მახასიათებლები მიღებულია პნ 02.01-08 (შენობების და ნაგებობების ფუძეები) შესაბამისი ცხრილების საფუძველზე. **ფენა №4** – კენჭნარი თიხნარის შემავსებლით, 20%-მდე, ფენა შესწავლილია დარღვეული სტრუქტურის გრუნტის ორი ნიმუშით. ანალიზის მიხედვით, გრუნტი განეკუთვნება კენჭნარს. მოყვანილია გრუნტის ფიზიკური მახასიათებლების ნორმატიული მნიშვნელობები. ხოლო მექანიკური მახასიათებლები მიღებულია პნ 02.01-08 (შენობების და ნაგებობების ფუძეები) შესაბამისი ცხრილების საფუძველზე.

ანგარიშის ბოლო თავს წარმოადგენს დასკვნები და რეკომენდაციები, რომელიც რვა პუნქტს შეიცავს, სადაც აღნიშნულია, რომ კლდოვანი ქანები ფონდური მასალების მიხედვით 15,0-17,0 მ-ის სიღრმიდან არის გავრცელებული. მოცემულია გამოყოფილი ს.გ.ე-ების ჩამონათვალი, ცხრილის სახით მოცემულია გრუნტების საანგარიშო მნიშვნელობები. ტერიტორიაზე გრუნტის წყლები გავრცელებული არ არის, ხოლო გრუნტი არ არიან დამარილებული, თუმცა, კოროზიულობის ხარისხი მაღალია და გრუნტს ახასიათებს ძლიერი სულფატური აგრესია. ტერიტორიაზე საშიში გეოდინამიკური პროცესები არ დაიკვირვება და არც მომავალშია მათი განვითარება სავარაუდო. პნ 01.01.-09 (სეისმომედეგი მშენებლობა) მიხედვით მოცემულია ტერიტორიის სეისმურობის ზონა. უბნის ამგები გრუნტების კატეგორია დამუშავების სიძნელის მიხედვით მიღებულია სნ და წ IV-2-82-ის შესაბამისი ცხრილების მიხედვით. დასკვნას ხელს აწერს საინჟინრო-გეოლოგიური სამსახურის უფროსი თ. ჩაჩავა

ტექსტურ დანართებში მოცემულია გრუნტების ლაბორატორიული კვლევების შედეგების ცხრილი, ნიმუშების ძვრაზე და კომპრესიაზე გამოცდის შედეგები, გრუნტის ქიმიური ანალიზის შედეგები, გრუნტს მარილების შემცველობის ანალიზის შედეგები რომლებიც ხელმოწერილია ნ. ხმელიძის და მ. მარდაშოვას მიერ.

გრაფიკულ დანართებში მოცემულია ტოპოგეგმა ჭაბურღილების და ჭრილის ხაზების განლაგებით, აგრეთვე რელიეფის ნიშნულებით. ჭაბურღილების სვეტები

აბსოლუტური ნიშნულების, სიღრმეების და ფენის სიმძლავრის მითითებით, საინჟინრო გეოლოგიური ჭრილი ჭაბურღილების სიღრმეების ჩვენებით და ქანების წოლის ფორმების განლაგებით.

ქ. თბილისში, გურამიშვილის ქ. №28-ში (საკ. კოდი 01.12.08.016.006) 11 სართულიანი შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგების მიმართ ინსპექტირებას პრეტენზია არ გააჩნია და ეძლევა დადებითი შეფასება.

დასკვნა

ქ. თბილისში, გურამიშვილის ქ. №28-ში (საკ. კოდი 01.12.08.016.006) 11 სართულიანი შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები ძირითადად პასუხობს მოქმედი ნორმატული დოკუმენტების მოთხოვნებს. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიშს ეძლევა დადებითი შეფასება და რეკომენდაცია განხორციელებისათვის.

იხ. კვლევითი ნაწილი.

ინსპექტირების ანგარიში შეადგინა:
ინსპექტორი: /ი. ცხომელიძე/

ინსპექტირების ანგარიში ტექნიკურად გადაამოწმა:
ტექნიკური მენეჯერის მოვალეობის შემსრულებელი: /ი. ცხომელიძე /

ინსპექტირების ანგარიში ადმინისტრაციულად გადაამოწმა:
ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელი: /მ. წიქარიშვილი/

საქართველო
მოქალაქის პირადობის მოწმობა



№ ბ 1242548

პირადი № 01023000744

სახელი ილია

გვარი ცხომელიძე

დაბადების თარიღი 03.01.1955

დაბადების ადგილი სენაკი

პირადი ხელმოწერა

მისამართი თბილისი სანზონა კორ.25 ბ.14

მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ნაძალადევის სამსახური

გაცემის თარიღი 21.01.2009

მოქმედების ვადა 21.01.2019

რეგისტრაციის თარიღი 21.12.1993

ბ.ა. უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

Curriculum Vitae

სახელი, გვარი: ილია ცხომელიძე

დაბადების წელი: 3 იანვარი, 1955 წელი.

მისამართი: თბილისი, ღრმაღელე, კორპ 25, ბინა 14.
ტელ.: (995-32) 61 77 33
მობ.: 877 75 00 56

ოჯახური მდგომარეობა: მეუღლე და ორი შვილი.

განათლება:

1971 -1977 საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი, ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო-გეოლოგიის კათედრა, სპეციალობა ჰიდროგეოლოგია და საინჟინრო გეოლოგია.

1961-1971 ქ. სენაკის 2-ე საშუალო სკოლა.

სამუშაო ადგილი:

2017-დღემდე შ.პ.ს. „მშენ-ექსპერტი“— ექსპერტი საინჟინრო-გეოლოგიის სფეროში.

2016-დღემდე აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო — აკრედიტაციის ცენტრი — ტექნიკური შემფასებელი საინჟინრო-გეოლოგიის სფეროში.

2005-დღემდე შ.პ.ს „თბილინვესტპროექტი“— დირექტორი.

2003-2004 შ.პ.ს „V&R“— დირექტორი.

2002-2003 შ.პ.ს „V&R“— ინჟინერ-გეოლოგი.

1999-2002 შ.პ.ს „ლიბო +“ — ინჟინერი.

1990-1999 საპროექტო ინსტიტუტი „საქტრანსპროექტი“—გეოლოგიური განყოფილების წამყვანი გეოლოგი.

1987-1990 სსრკ სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტრო—მივლინება სირიის არაბთა რესპუბლიკაში. უფროსი ინჟინერ-გეოლოგი, სექტორის ხელმძღვანელი.

1978-1987 საპროექტო ინსტიტუტი „კავგიპროტრანსი“ — გეოლოგიური განყოფილების გეოლოგი, უფროსი გეოლოგი.

ენები: ქართული მშობლიური, რუსული კარგად, ინგლისური საშუალოდ, არაბული საშუალოდ.

შ.პ.ს. „თბილინვესტპროექტი„-ს მიერ სხვადასხვა ორგანიზაციებისთვის შესრულებული სამუშაოები:

2008-2018 ქ. თბილისში, საიათნოვას ქ. №4, ერისთავის ქ. №3, ვ. ბაგრატიონის ქ. №57, ბუდაპეშტის ქ. №36-38, ბურძგლას ქ. №60, წერეთლის ქ. №117ა, ჭყონდიდელის

ქ.№22, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები, ახალქალაქში და ონში იუსტიციის სახლები, დაბა ბაკურიანში სასტუმროს და სახანძროს შენობები, ამბროლაურში ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე, გარემოს დაცვის შენობა, მარტვილის მუნიციპალიტეტის, სოფ. გაჭედილის მიმდებარედ ოკაცეს კანიონი, თბილისი, ქიზიყის ქ. №17-ში, „კნაუფ გიპს ტბილისი„-ს ტერიტორიაზე ღუმელების, კასპის და რუსთავის ცემენტის ქარხანებში წისქვილების სეპარატორები, გარდაბანი, სათბურების მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორია, თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე, „ავერსის კლინიკა„-ს შენობის რეკონსტრუქცია, თბილისში, საქაერონავიგაციის ადმინისტრაციული შენობის რეკონსტრუქცია, ფოთი, სამეგრელოს ქუჩა №8-ში „დიუთი ფრი ალიანსის„ სასწყობე შენობის, თბილისის ზღვა, „იახტკლუბი აფრა„-ს ტერიტორიის, გუდაურში ოთხსართულიანი სასტუმროს, ბორჯომის №1 ჩამომსხმელი ქარხნის ტერიტორიაზე სასაწყობე შენობის, მცხეთის სამხარეო ადმინისტრაციის შენობის, ქ. ახალციხეში საგანმანათლებო ცენტის, ქ. თბილისში, ლუბლიანას ქუჩაზე, ბავშვთა სპორტული აკადემიის ტერიტორიის, „ბილაინის“ ანძები სოფ. კარდენახში, მაწიმში, სუჯუნაში, ბორჯომში. ქ. ოზურგეთში და ქ. კასპში სადაზღვევო კომპანია „ალფას“ ოთხსართულიანი საავადმყოფოების შენობებისთვის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები.

შპს. „თბილინვესტპროექტი„-ს დირექტორი.

2004-2008 თბილისში, აეროპორტის გზის მიმდებარედ შავი ზღვის უნივერსიტეტის კომლექსი, თბილისში, ლაღიძის ქ. №6-ში მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლი, დაბა ბაკურიანში, სასტუმრო „სნოუ პლაზა“, ყვარელში, მარნეულში, ლაგოდეხში, მარტვილში, ფასანაურში ავერსის აფთიაქის შენობები, თელავში და ლაგოდეხში აკვაპარკი — საინჟინრო გეოლოგიური კვლევები.

შ.პ.ს „ თბილინვესტპროექტის“ დირექტორი.

2003-2004 დიღომში ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის დაფუძნებისთვის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები, კრწანისის ქუჩა №17-ში ოთხი თორმეტსართულიანი საცხოვრებელი სახლის დაფუძნებისთვის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები, მუხიანში ორსართულიანი საცხოვრებელი სახლების დაფუძნებისთვის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები.

შ.პ.ს „V&R “ ინჟინერ-გეოლოგი.

2000-2003 თბილისში ვარკეთილის I მკრ, 25 კორპუსის საძირკვლების გამაგრება, მარტყოფის ქ. №5-ში 95-ე საჯარო სკოლის ხუთსართულიანი შენობის მშენებლობა, ვაკეში ჩეხეთის საელჩოს მშენებლობის მეორე ეტაპი.

ინჟინერი.

1991-1999 „სენაკი-ფოთის, შორაპანი-ზესტაფონის, ხაშური-ხარაგაულის რკინიგზის მეორე ხაზის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები“.

წამყვანი ინჟინერ-გეოლოგი.

1987-1990 სირიის არაბთა რესპუბლიკა. საინჟინრო-გეოლიგიური კვლევები: „დამასკო-დერაას რკინიგზის პროექტი, მდ. ევფრატზე გადასავლელი რკინიგზის ხიდის რეაბილიტაციის პროექტი ქ. დერ-ეზ-ზორთან. ლატაკია-ბანიასის მონაკვეთზე სარკინიგზის ხაზის რეკონსტრუქციის პროექტი,“

უფროსი ინჟინერ-გეოლოგი, სექტორის ხელმძღვანელი.

1986-1987 „თბილისი-ორჯონიკიძის რკინიგზა — მთავარი კავკასიონის არხოტი-ტარგიმის მონაკვეთზე გვირაბის პროექტი“

უფროსი ინჟინერ-გეოლოგი.

1985 რუსეთის სფსრ. „სკოვოროდინო-მოგოჩას რკინიგზის მონაკვეთის ელექტროფიკაციის პროექტი“.

უფროსი ინჟინერ-გეოლოგი.

1982-1984 აზერბაიჯანის სსრ. „ევლახ-ბელაქანის რკინიგზის პროექტი“.
უფროსი ინჟინერ-გეოლოგი.

1980-1982 „ქ. გაგრის შემოვლით საავტომობილო გზაზე გვირაბების განთავსების ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა“. პირველი და მეორე ეტაპი.
უფროსი ინჟინერ-გეოლოგი.

1979 აზერბაიჯანის სსრ. „მინჯევან-ზანგელანის რკინიგზის მონაკვეთის გადატანის პროექტი“.
ინჟინერ-გეოლოგი.

1978 ყაზახეთის სსრ. „კანდაგაჩ-ემბას რკინიგზის მონაკვეთის ელექტროფიკაციის პროექტი“.
ინჟინერ-გეოლოგი.

დიპლომი

Г-I № 196655

ეს დიპლომი მიეცა ილია კარლოს-ძე ცხომელიძეს

მასზე, რომ იგი 1971 წელს შევიდა ვ.ი. ლენინის სახ. საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში

და 1977 წელს დაამთავრა აღნიშნული ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით ჰიდრო-გეოლოგია და საინჟინრო გეოლოგია

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1977 წ. „29" ივნისის გადაწყვეტილებით ი.კ. ცხომელიძეს მიენიჭა სამთო ინჟინერ ჰიდროგეოლოგის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

ბ. ა.

ქალაქი თბილისი 1978 წ. „04" იანვარი

სარეგისტრაციო № ГЕ 660

Грузинский яз.

ДИПЛОМ

Г-I № 196655

Настоящий диплом выдан Цхомелидзе Илье Карлоевичу

в том, что он в 1971 году поступил в Грузинский политехнический институт им. В.И. Ленина

и в 1977 году окончил полный курс названного института

по специальности Гидрогеология и инженерная геология

Решением Государственной экзаменационной комиссии от 29 июня 1977 г.

Цхомелидзе И.К.

присвоена квалификация горного инженера гидрогеолога

Председатель Государственной экзаменационной комиссии

М. П.

Город Тбилиси „04" января 1978 г.

Регистрационный № ГЕ 660

Московская типография Гознака. 1976.

სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი“

აკრედიტაციის მოწმობა

GAC-IB-0121

ადასტურებს, რომ

შპს „მშენ-ექსპერტი“-ს

A-ტიპის ინსპექტირების ორგანო

მდებარე: ქ. თბილისი, მიროტაძის ქ. #1, ბინა #4

შეფასდა და აკმაყოფილებს ეროვნული სტანდარტის

სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013-ის მოთხოვნებს

აკრედიტებულია შემდეგ სფეროში: 1. ობიექტის ხარჯთაღრიცხვის ინსპექტირება; 2. ობიექტზე შესრულებული სამუშაოების ინსპექტირება (მათ შორის ფორმა #2-ის მიხედვით); 3. ობიექტის ან მისი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის, შესრულებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების ინსპექტირება; 4. ობიექტის სამშენებლო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობა - ინსპექტირება; 5. სამშენებლო ობიექტის პროექტის (შენობის, ნაგებობების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, ხიდების, გვირაბების, საავტომობილო გზების და სხვა ხაზობრივი ნაგებობების) ან პროექტის ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება, მათ შორის: საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა/დასკვნა; კონსტრუქციული ნაწილი; საინჟინრო ქსელები: (ელ. მომარაგება, სუსტი დენები) და მათი ტექნოლოგიური ნაწილი; საინჟინრო ქსელები: წყალმომარაგება, კანალიზაცია, წყალარინება) და მათი ტექნოლოგიური ნაწილი; საინჟინრო ქსელები: (ვენტილაცია, კონდიცირება, გათბობა) და მათი ტექნოლოგიური ნაწილი; არქიტექტურული ნაწილი; **დამატებით სფეროს აკრედიტაცია:** 6. ობიექტის ხარჯთაღრიცხვის ფასწარმოქმნის ადეკვატურობის ინსპექტირება;
(იხ. დანართი - „აკრედიტაციის სფერო“)

აკრედიტაციის ცენტრის
გენერალური დირექტორი

რეგისტრაციის თარიღი
14 აგვისტო 2017 წ.

ძალაშია
01 აპრილი 2020 წ.

0186 თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №42ა

დამკვეთი: სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი“
დამამზადებელი: შპს „სოლეი“ სფს-ს რეგისტრაციის № 06-3938